პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№132 (1302) ○ სამშაბათი, 4 ნოემბერი, 1958 წ ○ ბაზოცემის მე-15 წელი. ○ ფასი 30 კაპ.

ვეფხვებმა ჩემპიონობა დაკარგეს

მეტად საჭირო ქულები

ათჰიდელთა შეჯიბრების განახლებისას აშკარა გახდა ვ. კუზნეცოვის უპირატესობა. მან პროგრამის 5 სახეობიდან მხოლოდ ორში დათმო პირველობა. ჭოკით ხტომაში წაგო ი. ტერ-ოვანესიანთან, რომელმაც დაძლია 4,20 მეტრი და 1.500 მეტრზე რბენაში მოაგროვა სულ 256 ქულა. სამაგიეროდ, 110 მეტრი თარჯრბენში გაირბინა 14.7 წამში, როცა ლიდერი — ტერ-ოვანესიანი ფინიშთან 0,9 წამით გვიან მივიდა, ამან საბოლოოდ გადაწყვიტა ლიდერობის ბედი ევროპის რეკორდსმენის სასარგებლოდ. 6 სახეობის შემდეგ კუზნეცოვი უკვე წინ იყო 169 ქულით და მისი დაწევა ფაქტიურად უკვე აღარავის შეეძლო.

მართალია, ბადროს ტყორცნაში ყველაზე კარგი შედეგი—52,45 მ აჩვენა კ. ბუხანცევმა, მაგრამ კუზნეცოვი აქ მეორე ადგილზე გამოვიდა — 48,14 მ და კიდევ უფრო ჩამოიტოვა თავისი მთავარი კონკურენტები ტერ-ოვანესიანი და უ. პალუ. მეორე დღისათვის ტერ-ოვანესიანი აშკარად დაიღალა, მისმა მაჩვენებლებმა იკლო და ჩამორჩა არა მარტო კუზნეცოვს, არამედ ესტონელ პალუსაც, რომელმაც 7.559 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილი დაიკავა.

როცა კუზნეცოვმა შუბის ტყორცნაში 67,55 მ აჩვენა, ეჭვი არავის ეპარებოდა ევროპის ახალი რეკორდის დამყარებაში, თუმცა ჯერ კიდევ წინ იყო რბენა 1.500 მეტრზე. აქ მან ცუდი შედეგი—5.00,8 აჩვენა, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა პირველი ადგილის მოსაპოვებლად. ვ. კუზნეცოვმა ათჰიდში მოაგროვა 8.037 ქულა, რაც 23 ქულით აღემატება მისივე საკავშირო და ევროპის რეკორდებს. ტერ-ოვანესიანი მესამე ადგილზე დარჩა — 7.220 ქულა.

საქართველოს ათჰიდელების ი. დიაჩკოვისა და ო. ხოლოდოკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი კარგად გამოვიდნენ შეჯიბრებაზე და ხუთჰიდელ ქალებთან ერთად მეტად საჭირო ქულები მოუტანეს გუნდს.

ი. დიაჩკოვმა 9 სახეობის შემდეგ მოაგროვა 6.011 ქულა, რაც პირველ თანრიგს აღემატება და ჰაბუკთა საკავშირო რეკორდზე უკეთესია. ჭოკით ხტომის დროს ერთ-ერთ ცდაზე ფეხის ტრავმის გამო დიაჩკოვს 1.500 მეტრზე რბენაში მონაწილეობა აღარ მიუღია. ამან მას ხელი შეუშალა დაემყარებინა ახალი რესპუბლიკური რეკორდი მოზრდილთა შორის. საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა ო. ხოლოდოკმა — 6.439 ქულა.

დიდი წარმატება

ქალთა ხუთჰიდში შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გამარჯვებულის კვარცხლბეკზე გამოიძახეს გორკელი მძლეოსანი გ. ბისტროვა, რომელსაც პირველობის მთავარმა მსაჯმა ნ. ტომილინმა საზეიმოდ გადასცა მძლეოსანთა ევროპის ასოციაციის ჯილდო მსოფლიო რეკორდის დამყარებისათვის. მაგრამ ეს არ იყო ამ პირველობაზე მის მიერ მოპოვებული წარმატების აღსანიშნავი საჩუქარი. ბისტროვას ჯილდო გადაეცა ადრე დამყარებული მსოფლიო რეკორდისათვის.

მაგრამ არც ამ პირველობაზე შეურცხვენია თავი სპორტის დამსახურებულ ოსტატს. ხუთჰიდელთა შეჯიბრება დაიწყო ბირთვის კვრით. მართალია, ამ სახეობაში ბისტროვაზე ბევრად უკეთესი შედეგი — 14,30 მეტრი აჩვენა ლენინგრადის პირველი გუნდის წარმომადგენელმა გ. გრინვალდმა, მაგრამ სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენმა დაძლია 1.60 მეტრი და სათავეში ჩაუდგა შეჯიბრებას, ხოლო მესამე სახეობის — 200 მეტრზე რბენის შემდეგ, მას უკვე 64 ქულით მეტი ჰქონდა, ვიდრე წინა მსოფლიო რეკორდის დამყარებისას.

ახალი მსოფლიო რეკორდის მოლოდინში მაყურებელთა ყურადღება მიპყრობილი იყო ბისტროვას ყოველი ახალი გამოსვლისაკენ. 80 მეტრზე თარჯრბენში გ. ბისტროვა კვლავ უძლიერესი აღმოჩნდა შესანიშნავი შედეგით 10,8 წამი. ახლა 4 სახეობის შემდეგ მას 26 ქულით უკეთესი შედეგი ჰქონდა, ვიდრე წინა მსოფლიო რეკორდის დამყარების დროს.

სიგრძეზე ხტომაში გ. ბისტროვამ ზუსტად 6 მეტრი დაძლია და სულ ხუთჰიდში მოაგროვა 4.872 ქულა. ეს ახალი ბრწყინვალე მსოფლიო რეკორდი სპორტსმენმა მიუძღვნა კომკავშირის სახელოვან იუბილეს. გამარჯვებულს 339 ქულით ჩამორჩა გ. გრინვალდი, ხოლო ბისტროვას თანაგუნდელი ლ. შმაკოვა გამოვიდა მესამე ადგილზე — 4.496 ქულა.

კარგად გამოვიდნენ ხუთჰიდში საქართველოს გუნდის წევრები, რომელთაგან ორმა — ლ. იევლევამ და რ. იანშინამ შესაბამისად მოაგროვეს 4.222 და 3.874 ქულა და კოლექტივს მისცეს ჩათვლითი ქულები.

(დასასრული მე-3 გვ.)

„ვაშაში“ მოსკოვში

მოსკოვში, ცსკ მო-ს საწყლოსნო ბაზაში თავისი უკანასკნელი მატჩი ჩაატარა ბუდაპეშტის „ვაშაშის“ წყალბურთელთა გუნდმა. ამჯერად სტუმრების წინააღმდეგ ითამაშა მოსკოვის „ბურევესტნიკმა“. მატჩი თავიდანვე წარიმართა მასპინძლების უპირატესობით — „ბურევესტნიკის“ გუნდის კაპიტანმა ვ. რაშმაჯანმა ორჯერ ზედიზედ გაიტანა ბურთი. შემდეგ უნგრელებმა დ. ვიზვარიმ და კ. მარკოვიჩმა ანგარიში გაათანაბრეს—2:2. მატჩის დამთავრებამდე მოსკოველმა ბ. ჩერნიშოვმა კარგად გამოიყენა 4-მეტრიანი საჯარიმო და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა — 3:2.

„სპარტაკი“ კვლავ ჩემპიონია

ირიგაში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის გუნდური პირველობას გამაბაში. მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ სპორტსაზოგადოებათა უძლიერესი გუნდები.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „სპარტაკი“ და „ყალგირისი“. დასაწყისში დაწინაურდა „ყალგირისი“, შემდეგ „სპარტაკმა“ გამოასწორა მდგომარეობა და წყვილთა შეხვედრების დაწყების წინ ანგარიში იყო 4:4. წყვილთა მატჩებში უფრო ძლიერი აღმოჩნდა „სპარტაკი“, რომელმაც 4 შეხვედრიდან 3 მოიგო და მეოთხედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი.

ფინალური მატჩების კალენდარი „ბ“ კლასის ზონებში გამარჯვებულ გუნდებს შორის

5 ნოემბერი. სკვო (ხაბაროვსკი)-სკვო (ოდესა). ქ. რუსთაველის სტადიონი.

5. სკჩფ (სევასტოპოლი)-სკვო (ლვოვი) „დინამოს“ სტადიონი.

8. სკვო (სვერდლოვსკი)-სკვო (ლვოვი). ქ. რუსთაველის სტადიონი.

8. სკვო (ოდესა)-სკჩფ (სევასტოპოლი). „ბურევესტნიკის“ სტადიონი.

9. სკვო (როსტოვი)-სკვო (ხაბაროვსკი). „დინამოს“ სტადიონი.

11. სკვო (ლვოვი)-სკვო (ოდესა). „დინამოს“ სტადიონი.

12. სკვო (ხაბაროვსკი)-სკვო (სვერდლოვსკი). „ბურევესტნიკის“ სტადიონი.

12. სკჩფ (სევასტოპოლი)-სკვო (როსტოვი). ქ. რუსთაველის სტადიონი.

15. სკვო (სვერდლოვსკი)-სკვო (ოდესა). ქ. რუსთაველის სტადიონი.

15. სკვო (როსტოვი)-სკვო (ლვოვი). „დინამოს“ სტადიონი.

16. სკვო (ხაბაროვსკი)-სკჩფ (სევასტოპოლი). „დინამოს“ სტადიონი.

18. სკვო (ოდესა)-სკვო (როსტოვი). „ბურევესტნიკის“ სტადიონი.

19. სკჩფ (სევასტოპოლი)-სკვო (სვერდლოვსკი). „დინამოს“ სტადიონი.

19. სკვო (ლვოვი)-სკვო (ხაბაროვსკი). ქ. რუსთაველის სტადიონი.

22. სკვო (როსტოვი)-სკვო (სვერდლოვსკი). „დინამოს“ სტადიონი.

მესამე მაჯჩი

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა თავიანთი მესამე და უკანასკნელი მატჩი ჩაატარეს ირანში. 1 ნოემბერს ისინი თეირანში შეხვდნენ ირანის უძლიერეს გუნდს — „ტაჯს“.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

ერევანში, „სპარტაკის“ ველოდრომზე დამთავრდა „ტრუდის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ველოსპორტში, რომელშიც მონაწილეობდნენ ამ საზოგადოების უძლიერესი სპორტსმენები.

შეჯიბრებაში წარმატება ხვდა წილად სპორტის ოსტატ ნ. მორეენოს (ორიოლი), რომელმაც 2 კილომეტრი ქალთა შორის დაფარა 2 წუთსა და 44,5 წამში და გაუმჯობესა ტულელი ველოსიპედისტის ვ. კოჩეტოვას 1955 წელს დამყარებული საკავშირო რეკორდი.

ლენინგრადელმა ველოსიპედისტმა ვ. მოსკვინმა („ბურევესტნიკი“), რომელიც ამ შეჯიბრებაში კონკურსგარეშე გამოდიოდა, სცადა რ. ჩიეიკოვის მიერ ადგილიდან 5 კმ-ზე რბოლაში დამყარებული საკავშირო რეკორდის გაუმჯობესება. ლენინგრადელმა ეს ამოცანა შეასრულა და მანძილი დაფარა 6 წუთსა და 27,4 წამში. მანვე 10 კილომეტრზე რბოლაში აჩვენა 13.09,9. ეს შედეგიც ახალი საკავშირო რეკორდია, რომელიც აკამდე მოსკოველ ს. კაზაკოვს ეკუთვნოდა.

* * *

კრამატორსკში გამართულ უკრაინის უძლიერეს ძალოსანთა შეჯიბრებაზე საშუალო წონის ათლეტმა ა. ეიტეეკიმ აჭიმა 148 კილოგრამი. ეს შედეგი 0,5 კილოგრამით აღემატება საბჭოთა შტანგისტ რ. პლიუკფელდერის მსოფლიო მიღწევას.

საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა მძღოლობაში

სურათებზე: მსოფლიო რეკორდსმენები ბ. ზალაგაიტიტე („შუბის ტყორცნა“). — მარჯვნივ გ. ბისტროვა (ხუთჰიდი).

გუნდური ადგილები ასე განაწილდა

1. რუსეთის ფედერაცია I — 101.797 ქულა, 2. ლენინგრადი I — 101.423, 3. მოსკოვი I — 96.897, 4. უკრაინა — 96.462, 5. ბელორუსია — 68.398, 6. რუსეთის ფედერაცია II — 68.209, 7. ესტონეთი — 58.669, 8. ლენინგრადი II — 54.563, 9. საქართველო—51.624, 10. ლატვია — 47.520, 11. მოსკოვი II — 46.595, 12. ლიტვა — 40.830, 13. ყაზახეთი— 35.006, 14. აზერბაიჯანი — 32.529, 15. უზბეკეთი — 27.851, 16. ტაჯიკეთი — 27.677, 17. სომხეთი — 19.247, 18. ყირგიზეთი — 17.358, 19. მოლდავეთი — 11.987, 20. თურქმენეთი — 9.459.

შენიშვნა: — რუსეთის ფედერაციის, ლენინგრადისა და მოსკოვის მეორე გუნდები გამოდიოდნენ კონკურსგარეშე.

სანიმუშოდ მოვამზადოთ და ჩავატაროთ საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის წინა ეტაპები!

დავნერგოთ მოწინავეთა გამოცდილება

ფიზკულტურული მუშაობის აღმავლობისათვის მიმდინარე წლის სექტემბერში „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პლენუმმა მოისმინა მახარაძის რაისაბჭოს ანგარიში რაიონის ახალგაზრდობას შორის მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ მახარაძის რაიონის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ბოლო წლების მანძილზე საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა სოფლის ახალგაზრდებს შორის. მართლაც, მახარაძელები უკვე მესამე წელია ზედიზედ პირველ ადგილს იკავებენ „კოლმეურნის“ სარაიონო, საოლქო საბჭოებსა და ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

რაიონი დღეისათვის ითვლის 36 საკოლმეურნეო, 5 საბჭოთა მეურნეობის და 3 სხვადასხვა უწყების ფიზკულტურულ კოლექტივს, სადაც გაერთიანებულია საზოგადოება „კოლმეურნის“ 3.368 წევრი ანუ 900 კაცით მეტი, ვიდრე შარშან. ამჟამად რაიონის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში კულტივირებული სპორტის 16 სახეობაა. აქ ფართო გავრცელება ჰპოვა მძლეოსნობამ. დღეისათვის მუცადინეობს 600-ზე მეტი სპორტსმენი (შარშან 327). თუ 1957 წელს მძლეოსნურ სახეობებში ჩატარებული სარაიონო შეჯიბრებები 100 მონაწილით განსაზღვრებოდა მიმდინარე წლის შვიდი თვის განმავლობაში ჩატარებულ რაიონულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 400-ზე მეტმა მძლეოსანმა, რომელთა შორის 47-მა აჩვენა სათანრიგო ნორმა. მძლეოსნობის განვითარების საქმეში ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საქართველოს „კოლმეურნის“ ნაკრები გუნდის წევრი გ. ერქომაიშვილი და ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის მიერ ქ. მახარაძეში მოვლინებული ვ. ტყეშელაშვილი, რაიონის ახალგაზრდობაში პოპულარობით სარგებლობს ძალოსნობაც (მწვრთნელი ვ. შავიშვილი). 1955 წელს რაიონის მხოლოდ ორ ფიზკულტურულ კოლექტივს ჰყავდა ძალოსნები, წელს კი რაიონის პირველობაზე ჩატარებულ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად 13-მა კოლმეურნეობამ წარმოადგინა გუნდები.

რაიონში ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე ფეხბურთის, ჰიდაობის, კრივის, ჭადრაკისა და სხვა სექციები.

„კოლმეურნის“ რაისაბჭომ (თავმჯდომარე კ. გოგატაძე) თავისი სპორტმასობრივ ღონისძიებათა კალენდარი ააგო ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის № 769 ბრძანების საფუძველზე. მარტო ფიზკულტურული კოლექტივების მიერ სპარტაკიადის პროგრამით ჩატარებულ შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო 3.000-მდე კაცმა, ხოლო სარაიონო სპარტაკიადაში, რომელშიც შედიოდა მძლეოსნობა, ძალოსნობა, ფრენბურთი და ფეხბურთი, მონაწილეობდა 1.400 ფიზკულტურელი. გარდა ამისა ჩატარდა სარაიონო პირველობები თავისუფალ ჭიდაობაში, ტყვიით სროლაში, სასტენდო სროლაში, კრივში, აგრეთვე სამატჩო შეხვედრები ქობულეთელ მოკრივეებთან და ძალოსნებთან, მატჩები ფეხბურთში ქუთაისისა და ფოთის გუნდებთან.

რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ ნაყოფიერი მუშაობა ჩატარებული სპორტული ბაზების კეთილმოწყობისა და ახალ ნაგებობათა შესაქმნელად, დღეისათვის რაიონის ახალგაზრდობის განკარგულებაშია ფეხბურთისა და ფრენბურთის 74 მოედანი, 18 საჰიდაო სარბიელი, 31 სარბენი ბილიკი და მძლეოსნური სექტორები, სპორტული დარბაზი, სტადიონი და ა. შ. ამჟამად გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში სტადიონის მოსაწყობად, ნატანებისა და გუმათის კოლმეურნეობებში მიმდინარეობს სპორტული დარბაზების მშენებლობა და სხვ.

ფიზკულტურულ კოლექტივებში მასობრივ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებამ, სპორტულ ნაგებობათა ქსელის მატებამ, შეჯიბრებებმა, ფიზკულტურული კოლექტივების ორგანიზაციულად განმტკიცებამ უზრუნველჰყო გარკვეულ მიღწევათა მოპოვება მშთ ნიშნოსნებისა და სპორტსმენ-თანრიგოსნების მომზადების მიმდინარე წლის გეგმების შესრულების საქმეში. დღეისათვის „კოლმეურნის“ ხაზით მშთ პირველ საფეხურზე უკვე მომზადდა 370 კაცი, ხოლო მშთ II საფეხურის ნიშნოსანთა მომზადების გეგმა შესრულებულია 113 პროცენტით. ასევე გადაჭარბებით შესრულდა II და III თანრიგოსანთა მომზადების წლიური გეგმაც.

ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლისა და მშთ ნიშნოსანთა და სპორტსმენ თანრიგოსანთა მომზადების წლიური გეგმების გადაჭარბებით შესრულების საქმეში განსაკუთრებით გამოირჩევიან შემოქმედის, შრომის, ლაშეს, ნატანების, ჭიანეთის საკოლმეურნეო, ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და სხვა ფიზკულტურული კოლექტივები.

ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივი (საბჭოს თავმჯდომარე შ. გოგოტიშვილი) თავის რიგებში 265 ფიზკულტურელს აერთიანებს, რომლებიც რეგულარულად მეცადინეობენ მეურნეობაში ჩამოყალიბებულ მძლეოსნობის, ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთისა და სხვა სექციებში. სპორტული სექციების ხარისხიანმა მუშაობამ უზრუნველჰყო ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენებისა და გუნდების რაიონის სოფლის ფიზკულტურელთა სპარტაკიადაში წარმატებით გამოსვლა.

შემოქმედის მახარაძის სახელობისა და შრომის ორჯონიკიძის სახელობის საკოლმეურნეო ფიზკულტურული კოლექტივები ხასტემატურად ახრულებდნენ საკავშირო სახოფლო-სამეურნეო გამოფენის დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნილებებს და დამტკიცებული არიან საკავშირო გამოფენის მონაწილეებად.

ტ. კიკნაველიძე

უკეთესი მაჩვენებლებისათვის

ამ ორი წლის წინათ, ჩვენს კოლმეურნეობაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენდა. არასისტემატურად მუშაობდნენ სექციები, მაგრამ მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობის გამგეობამ „კოლმეურნის“ რაისაბჭოსთან ერთად დასახა სათანადო ღონისძიებანი, მუშაობა საგრძნობლად გარდაიქმნა. კოლმეურნეობის 336 შრომისუნარიანი წევრიდან ფიზკულტურულ კოლექტივში გაერთიანებულია 245, რომელთა უმეტესობა რეგულარულად მეცადინეობენ ტანვარჯიშის, მძლეოსნობის, ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, თავისუფალი ჭიდაობის, ჭადრაკის, ლელობურთისა და სროლის სექციებში. საზოგადოებრივი ძალებით და კოლმეურნეობის გამგეობის დახმარებით სოფელში მოვაწყეთ ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, სარბენი ბილიკი, ტანვარჯიშული ოთახი, ჩოგბურთის მაგიდა, შევიძინეთ სპორტული ინვენტარი.

მიმდინარე წლის, სპორტმასობრივ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის თანახმად სისტემატურად ვატარებდით შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებს მძლეოსნობაში, ფრენბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში, სროლაში, შაშში და ა. შ. დიდი ინტერესით ჩატარდა სამატჩო შეხვედრები რაიონის მეზობელ სოფლებთან ფეხბურთსა და ლელობურთში.

მიმდინარე წელს სოფლის ახალგაზრდობის რაიონულ სპარტაკიადაში ჩვენმა კოლექტივმა საპრიზო ადგილები დაიკავა, სადაც რ. თოდრაძე, ა. ციხკარიძე, ც. სიმაიშვილი და სხვანი, მძლეოსნობაში რაიონის ჩემპიონები გახდნენ. ჩვენი კოლმეურნეობის ფეხბურთელთა გუნდი საქართველოს პირველობაზე მესამე ჯგუფში საპრიზო ადგილზე გამოვიდა.

ჩვენს კოლმეურნეობაში ფართოდაა გამოყენებული საზოგადოებრივი აქტივი, მათ შორის მოწინავე სპორტსმენები, თანრიგოსნები, კომკავშირელები ჭადრაკის სექციას, რომელშიც 40-ზე მეტი ახალგაზრდაა გაერთიანებული, ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ა. ცეცხლაძე, სპორტის სექციას — ამავე კოლმეურნეობის აგრონომი ნ. ცადრაძე, მძლეოსნებს — გ. ერქომაიშვილი, ხოლო სპორტული თამაშების სექციებს — ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი გ. დუმბაძე.

ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს დიდ დახმარებას უწევს კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ნ. ჭანუყვაძე), პარტიული ბიურო (მდივანი გ. ხვინგია) და კომკავშირის კომიტეტი.

ჩვენ დიდად მოხარული ვართ, რომ ჩვენი კოლმეურნეობის ფიზკულტურულმა კოლექტივმა შეასრულა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნილებანი და გახდა საკავშირო გამოფენის ღირსეული კანდიდატი. ეს გვავალებს მიღწეულით არ დავკმაყოფილდეთ, ვიბრძოლოთ უკეთესი მაჩვენებლებისათვის.

ლ. ზურაბაშვილი,
სოფელ შემოქმედის მახარაძის სახ. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.

დავა გადაწყდა

2 ნოემბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გადწყდა დავა პირველი ადგილისათვის „ბ“ კლასის IV ზონაში. როსტოვის არმიელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხეს ერევნის „სპარტაკი“ და მოიპოვეს პრეტენდენტთა შორის თამაშის უფლება.

მიუხედავად იმისა, რომ მოთამაშეები, როგორც ეს ხშირად ხდება ასეთ საპასუხისმგებლო მატჩებში, ზედმეტად ნერვიულობდნენ და უშვებდნენ შეცდომებს, მატჩი ჩატარდა მეტად მწვავედ, მაღალ ტემპში.

ანგარიში „სპარტაკმა“ გახსნა მე-16 წუთზე. არმიელთა დაცვაში ზედიზედ იქნა დაშვებული შეცდომები და ანტონიანმა (№ 10) ახლო მანძილიდან გაიტანა ბურთი — 1:0. როსტოველებმა გოლს მკვეთრი შტურმით უპასუხეს და თავდამსხმელებმა 22-ე წუთზე გაითამაშეს კომბინაცია, რის შედეგაც პავლოვი (№ 10) ღიად დარჩა მეკარესთან — 1:1.

მეორე ტაიმის მე-6 წუთზე „სპარტაკის“ კართან შორიდან იქნა მოწოდებული ბურთი, რომელიც შეუჩერებლად გაგზავნა კარში ეგოროვმა (№ 9) — 2:1. დარჩენილ დროში ერევნელები ბევრს ეცადნენ ანგარიშის შეცვლას, მაგრამ მოწინააღმდეგის დაცვა მათთვის გაუვალი აღმოჩნდა. შესანიშნავად ითამაშა არმიელთა მეკარე კიკტევმა, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთის გარდა აიღო 11-მეტრიანი საჯარიმო.

არ შეიძლება უყურადღებოდ იქნას დატოვებული „სპარტაკის“ მოთამაშეთა (ფოლადიანი, სემერჯიანი, ვარდანიანი, ოვივიანი) დაუფარავი უხეშობა. განსაკუთრებით „გამოიჩინა“ თავი უხეშობაში მეკარე ზატიკიანმა, რომელიც ბურთისათვის ბრძოლის გარეშე უკნიდან მიეპარა ერთ-ერთ როსტოველს და ხელი გაარტყა მას. მსაჯმა ვ. პოდგორნიმ (მოსკოვი) დაუსჯელად დატოვა ეს უხეშობანი.

• • •

სურათზე: ზევით — სახიფათო მომენტი როსტოველთა კართან

ვეტერანთა მაჭრი ქუთაისში

ქუთაისში ჩავიდა თბილისის ვეტერან ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც გასულ კვირას შეხვდა „ლოკომოტივის“ მოთამაშეებისაგან შემდგარ ადგილობრივ ნაკრებს.

თბილისელთა შემადგენლობაში იყვნენ: კავსაძე; ჭელიძე, ძიაპშიპა, სარჯველაძე; ანთაძე, გამყრელიძე; ა. პაიჭაძე, ბერძენიშვილი, ბ. პაიჭაძე, ზაზროშვილი, თოდრია. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. ვეტერანებიდან ბურთი გაიტანა ზაზროშვილმა პირველი ტაიმის 30-ე წუთზე.

• • •

სურათზე: ვეტერანთა მეკარე რ. კავსაძე იღებს მაღალ ბურთს

ფოტო დ. ფაჩუაშვილისა.

თასი „სპარტაკმა“ მოიპოვა

2 ნოემბერს მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შედგა ფინალური მატჩი საბჭოთა კავშირის თასზე ფეხბურთში. თამაშობდნენ „სპარტაკი“ (მოსკოვი)-„ტორპედო“ (მოსკოვი).

მატჩის ძირითადი დრო, 90 წუთი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. დამატებით დროში სპარტაკელებმა გაიტანეს გოლი, რომელმაც მათ მოუტანა გამარჯვება და მასთან ერთად სსრ კავშირის 1958 წლის თასიც.

„სამი მუშკეტერი“ რიაზანიდან — ასე შეარქვეს მაყურებლებმა ვ. ბოიკოვს, ი. ნიკიტინსა და ა. აგრიზკინს.

სურათზე: მარცხნიდან — ი. ნიკიტინი, ა. აგრიზკინი და ვ. ბოიკოვი.

დამთავრდა საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა მძღოლობაში

მსოფლიო რეკორდსმენები

მსოფლიო რეკორდსმენი — ფინალის გარეშე

შეჯიბრებას სამხტომში დიდი ინტერესით მოელოდნენ ყველანი: მონაწილეებიც, მაყურებლებიც და სპეციალისტებიც. თბილისის „დინამოს“ სახტომ სექტორზე თავი მოიყარეს უძლიერესებმა ამ სახეობაში. აქ იყვნენ მსოფლიოს რეკორდსმენი ო. რიახოვსკი (უზბეკეთი), მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ლ. შჩერბაკოვი (მოსკოვი), ვ. კრეერი (რსფსრ), კ. ციგანკოვი, ლ. კარპუშენკო (მოსკოვი) და სხვანი. თითქმის არც ერთ სახეობაში არ შეკრებილა საუკეთესოთა ასეთი შემადგენლობა.

და აი პირველი სიურპრიზი. მსოფლიო რეკორდსმენი ო. რიახოვსკი (მისი რეკორდია 16 მ 59 სმ) ვერ გავიდა არა თუ პრიზიორთა შორის, არამედ ფინალშიც კი. მაქსიმუმი, რაც მან შეძლო, ეს იყო ჩათვლითი ქულა თავისი გუნდისათვის — 14 მ 98 სმ. სამაგიეროდ, შესანიშნავ შედეგს მიაღწია ვ. კრეერმა. მისი ორი ნახტომი უდრიდა 15,72 და 15,87 მეტრს, ხოლო საუკეთესო ნახტომი შესრულებულ იქნა 16 მეტრსა და 43 სანტიმეტრზე. ესაა საერთაშორისო კლასის ბრწყინვალე მაჩვენებელი.

საგრძნობლად ჩამორჩნენ კრეერს მისი ძირითადი კონკურენტები. ლ. კარპუშენკო გადახტა 15 მეტრსა და 86 სანტიმეტრზე, ხოლო ლ. შჩერბაკოვი — 15 მეტრსა და 80 სანტიმეტრზე.

კარგად გამოვიდა შეჯიბრებაში საქართველოს გუნდის წევრი ვ. ჩხეიძე, რომელმაც საერთო მე-6 ადგილი დაიკავა (15 მ 47 სმ).

ჩვენი რესპუბლიკის სხვა წარმომადგენელთაგან ვ. ალექსანდროვმა შეძლო ჩასათვლელი ნორმატივის შესრულება — 15,03 მ, ხოლო ლ. დარანჯელიძემ გუნდს ქულა ვერ მისცა. მისი შედეგია 14 მ 29 სმ.

სამმა მონაწილემ გუნდს მისცა 0

სიმაღლეზე ხტომაში ქალთა შორის საქართველოს გუნდს წარმოადგენდნენ ს. როზანოვა, ლ. პატარიძე და ა. ოლადკო. და აი ამ სამმა მონაწილემ კოლექტივს კიდევ ერთი 0 „შემატა“. მათგან როზანოვამ აიღო 150 სმ, ოლადკომ 145 სმ, ხოლო პატარიძემ—140 სმ. ასეთი დაბალი მაჩვენებლები ხერიოზული მარცხია ჩვენი გუნდისათვის.

როგორც მოსალოდნელი იყო, უძლიერესი ამ სახეობაში აღმოჩნდა რსფსრ-ს წარმომადგენელი ტ. ჩენჩიკი. მან პირველსავე ცდაზე სულ იოლად აიღო 145 სმ, შემდეგ ასევე პირველ ცდაზე თანმიმდევრულად დაძლია 150, 155, 160, 165 სმ. ჩენჩიკმა ორი ცდა მოანდომა 168 და 171 სანტიმეტრს და მოიოხოვა საერთაშორისო კლასის სიმაღლე — 174 სმ. სპორტსმენის ორი ცდა წარუმატებელი გამოდგა, ხოლო მესამე ცდაზე თმასა დაძლეულ იქნა. ამის შემდეგ ჩენჩიკმა სცადა 177 სანტიმეტრის აღება, მაგრამ უშედეგოდ.

„სამი მუშკეტერი“ რიაზანიდან

მათ მკერდზე ამოქარგული ჰქონდათ რუსეთის ფედერაციის ღერბი, რადგან ვიქტორ ბაიკოვიც, იური ნიკიტინიც და ალექსანდრე აგრიზკინიც ერთი გუნდის წევრები იყვნენ. კიდევ მეტი, ისინი მშობლიური ფედერაციის სპორტული ღირსების დასაცავად ერთი ქალაქიდან, რიაზანიდან ჩამოვიდნენ.

ალექსანდრე ვიქტორზე და იურიზე საგრძნობლად უფროსი იყო წლოვანებით. იგი სპორტულ შეჯიბრებებში გამოდიოდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დანარჩენ ორს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ მძღოლობაზე. ალექსანდრე აგრიზკინი რიაზანში ცნობილი კაცი იყო და გადაწყვიტეს თუ არა ვიქტორმა და იურიმ სპორტში მეცადინეობა, პირველ რიგში მას მიმართეს.

რა გეგმა ჰქონდათ რიაზანელებს მარათონული რბენის დაწყებამდე არ ვიცით, მაგრამ შეჯიბრების მსვლელობამ გვიჩვენა, რომ მათი განზრახვა მაინცდამაინც სახუმარო არ იყო. სტარტიდან რბენას სათავეში მოექცა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი, საკმაოდ სახელმოხვეჭილი მარათონელი ბ. გრიშაევი. იგი ლიდერობდა მარათონს დისტანციის უმეტეს ნაწილზე. მაგრამ მან ვერასგზით ვერ მოახერხა ჯგუფისგან შორს წასვლა. სწორედ ამ ჯგუფში რიაზანელთა ტრიო და ერთი ექსრიაზანელი იყო.

35-ე კილომეტრზე დაწინაურდა ექსრიაზანელი ნ. რუმიანცევი (ლენინგრადი), რომლის მაღალ ტემპს ვერ გაუძლო ბ. გრიშაევმა. მალე მას გაუსწრო „სამმა მუშკეტერმაც“ და კიდევ ოთხმა თანაგუნდელმა. რუმიანცევმა მარათონული დისტანციის უკანასკნელი კილომეტრი იმდენად სწრაფად გაირბინა, რომ მის დაწევაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მომდევნო ადგილებისათვის ბრძოლა „სამ მუშკეტერს“ შორის გაიმართა. აი სწორედ აქ, ახალგაზრდებმა „უღალატეს“ თავიანთ მწვრთნელს და ჩამოიტოვეს იგი უკან. ბაიკოვმა და ნიკიტინმა ახალი ენერგიით გასწიეს ფინიშისაკენ, რადგან საპრიზო ადგილზე გასვლის გარდა, მათ სხვა საზრუნავიც ჰქონდათ — სპორტის ოსტატის საპატიო წოდებისათვის ბრძოლა. არც მწვრთნელი ჩამორჩა თავის აღზრდილებს. მან მეოთხემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი. აი პირველი ოთხეულის დროც: ნ. რუმიანცევი —2:20.06,0, ვ. ბაიკოვი—2:22.03,0, ი. ნიკიტინი — 2:22.18,0, ა. აგრიზკინი — 2:22.36,0.

სამი რიაზანელი „მუშკეტერი“ ბედნიერად გრძნობდა თავს. მათ გაამართლეს კოლექტივის, ამხანაგებისა და მშობლიური ქალაქის ნდობა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ამ ტრიომ რსფსრ-ს გუნდს 5 ათასამდე ქულა მისცა. საქართველოს მძლეოსანთაგან დისტანცია წარმატებით დაამთავრა კ. აგრბამ. მართალია ფინიშთან იგი 23-ე იყო (2:30.31,0), მაგრამ გუნდს 1089 ქულა შემატა.

ურო ჰაერში

უროს მტყორცნელთა შეჯიბრებაში მონაწილე 45 სპორტსმენიდან მხოლოდ ერთი იყო საქართველოს წარმომადგენელი — ბ. ტალახანოვი, რომელმაც 53,83 მ აჩვენა და თავის გუნდს ჩასათვლელი ქულები ვერ მისცა. საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი მ. კრივონოსოვი არ მონაწილეობდა და ბევრს ეგონა, რომ ჩვენი ქვეყნის პირველობის პრიზიორი მოსკოველი ა. სამოცვეტოვი კონკურენციის გარეშე აღმოჩნდებოდა. მაგრამ ასე არ მოხდა. მართალია, საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში ა. სამოცვეტოვმა ურო 64,11 მეტრზე ტყორცნა, მაგრამ, როცა მოსკოველმა ვ. რუდენკოვმა იგივე შედეგი გაიმეორა ფინალში, მას ნერვიულობა დაეტყო და 62,16 მეტრზე უკეთესი შედეგი ვერ აჩვენა. სამოცვეტოვმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა. მესამე ადგილი მოიპოვა ლენინგრადელმა ო. კოლოდიმ, რომელმაც უფრო ტყორცნა 61,95 მეტრზე.

ორი ფინალი

ყველასათვის, რა თქმა უნდა არა, მაგრამ ბევრი მძლეოსნისათვის თბილისი დაუვიწყარი იქნება, რადგან ამ ქალაქში მოიპოვეს მათ პირველი წარმატება, აქ მიაღწიეს მათ უმაღლეს სპორტულ მაჩვენებელს. პირველ რიგში ჩვენი ქალაქის მადლიერნი არიან გ. ბისტროვა და ბ. ზალაგაიტტე, როგორც ახალი მსოფლიო რეკორდების ავტორები. მადლიერნი არიან ასინიც, რომლებმაც გაუმჯობესეს თავიანთი რესპუბლიკის რეკორდები და პირველად ამ ქალაქში შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმატივი.

იღბლიანი ქალაქიაო, ამბობენ თბილისზე ისინი! იღბლიანი ქალაქიაო თბილისი, თქვა ყაზახეთის გუნდის წევრმა ვ. რიაბოვმა 28 ოქტომბერს, როდესაც 10 ათას მეტრზე რბენაში აჩვენა 29.37,4 და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. პირველმა წარმატებამ ახალგაზრდა მძლეოსანი წაახალისა და იგი თამამად წაება ბრძოლაში პირველობისათვის 5.000-მეტრიან დისტანციაზე. დასაწყისში რიაბოვი არ აქტიურობდა, დაწინაურებულთა ჯგუფს მისდევდა მხოლოდ ფეხდაფეხ. შემდეგ მოულოდნელად უმატა ტემპს, გადაუსწრო შორიგეობით ი. ზახაროვს (ლენინგრადი), ა. დესიატჩიკოვს (მოსკოვი), ი. ჩერნიავსკის (უკრაინა), ლ. ვირკუსს (ესტონეთი) და ბოლოს ბ. ბოლოტნიკოვს (მოსკოვი). ასე ირბინა მან დაახლოებით ორი წრე, მაგრამ გამძლეობა ბოლომდე არ ეყო.

ლიდერთა ჯგუფში „სტატუს ქვო“ ბ. ბოლოტნიკოვმა აღადგინა. ტემპის გაზრდით მან თან აიყოლა ჩერნიავსკი, დესიატჩიკოვი და ვ. ვირკუსი. რიაბოვმა მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა. ამის შემდეგ ლიდერმა კიდევ რამდენიმეჯერ შესცვალა ტემპი, რასაც ვერც ერთმა მონაწილემ ვერ გაუძლო. ბოლოტნიკოვი მიუღწეველი გახდა დანარჩენებისათვის და ფინიშთან პირველი მივიდა — 14.08,0. ჩერნიავსკის წილად ხვდა მეორე (14.09,2), დესიატჩიკოვს მესამე (14.11,2), ვირკუსს — მეოთხე (14.13,8), ხოლო რიაბოვს — მეხუთე (14.23,0) ადგილი.

საქართველოს გუნდიდან ამ სახეობაში ორი სტაიერი ნ. სერგეევი და ვ. სუხანოვი გამოდიოდა. პირველმა დისტანცია დაფარა 14.52,0, ხოლო მეორემ—15.12,0. ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეასრულა პირველი თანრიგის ნორმატივი და მიიღეს 0 ქულა.

გაცილებით უკეთ გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები სპორტულ სიარულში 50 კილომეტრზე. ა. შჩერბინამ აჩვენა 4:26.25,0, გუნდს მისცა 1042 ქულა და გაუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი. ჩასათვლელი ქულები მისცა ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივს, აგრეთვე ა. მაკაროვმა, რომელმაც დისტანციის დაფარვას 4:29.18,0 მოანდომა.

გამარჯვება ამ სახეობაში მოიპოვა რსფსრ-ს პირველი გუნდის წარმომადგენელმა მ. ლავროვმა (4:10.37,8). სულ სპორტულ სიარულში 50 კილომეტრზე ნაჩვენები იქნა 12 სპორტის ოსტატის და 23 პირველთანრიგოსნის შედეგი.

დაკარგული ოქროს მედლები

ვაჟთა ესტაფეტამ 4×400 მეტრზე ყოველგვარი მოულოდნელობის გარეშე ჩაიარა. ფინალში მონაწილე 6 გუნდიდან (რსფსრ-ს I და II, მოსკოვის I და II, უკრაინისა და ლენინგრადის) წარმატების ყველაზე დიდი შანსი ჰქონდათ ლენინგრადის, მოსკოვისა და უკრაინის კოლექტივებს. პირველ ეტაპზე ლენინგრადელმა კ. გრაჩოვმა გაუსწრო მთავარ მეტოქეებს ე. არაქელიანს (მოსკოვი) და ი. ფოკინს (უკრაინა). მომდევნო ეტაპებზე ლენინგრადელებმა შეინარჩუნეს უპირატესობა, ხოლო უკანასკნელ, გადამწყვეტ 400 მეტრზე სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. იგნატიევმა კიდევ უფრო გაზარდა განსხვავება.

ლენინგრადის გუნდს ჰქონდა ასეთი შედეგი: 3.11,6, მოსკოვის I კოლექტივს — 3.13,4, ხოლო უკრაინის ნაკრებს — 3.13,5, საქართველოს გუნდი ამ ესტაფეტაში მე-15 იყო — 3.24,5.

დრამატიულად წარიმართა ქალთა ესტაფეტა 4×200 მეტრზე. ჩვენს, სამამულო პრესაში შეერჯერ გამოთქმული აზრი, რომ მძლეოსანთა სუსტი ადგილი ესტაფეტაში ამანათის გადაცემაა. ამ სიტყვების სისწორე ერთხელ კიდევ დაამტკიცა საკავშირო გუნდურმა ჩემპიონატმა. კერძოდ, ქალთა ესტაფეტამ 4×200 მეტრზე.

ლენინგრადის ძლიერმა კოლექტივმა პირველსავე ეტაპზე მოიპოვა ლიდერობა, ხოლო მომდევნო ორ ეტაპზე განსხვავება დაახლოებით 15 მეტრამდე გაზარდა. ლენინგრადის გუნდის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ უკანასკნელი ეტაპის წინ ზ. კოტოვამ არასწორად მიიღო ამანათი, გადაბიჯა საკონტროლო ხაზს, რის გამოც გუნდი შეჯიბრებიდან მოიხსნა. ეს ყველაფერი მოხდა მაშინ, როდესაც ლენინგრადელებს თითქმის განაღდებული ჰქონდათ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები. ლენინგრადელთა წარუმატებლობამ პირველ ადგილზე მოსკოვის გუნდი (ი. ბოჩკარიოვა, ლ. მასლენიკოვა, თ. ბუიანოვა, ნ. ოტკალენკო) გამოიყვანა — 1.39,0. მეორე ადგილი დარჩა ბელორუსიის (1.39,7), ხოლო მესამე — უკრაინის სპორტსმენთა კოლექტივს (1.40,4). საქართველოს გუნდს ესტაფეტაში მეათე შედეგი ჰქონდა — 1.43,8.

ხუთი რესპუბლიკური რეკორდი

საქართველოს მძლეოსნებიც არ ჩამორჩნენ რესპუბლიკური რეკორდების გაუმჯობესებისათვის. გამართული ბრძოლის ფერხულს და მათაც ხუთი შესწორება შეიტანეს ოფიციალურ ცხრილში. რეკორდები გაუმჯობესეს ა. ოვეჩიანმა — 400 მეტრზე რბენაში—58,1, ი. გიგაურმა ვაჟთა შორის შუბის ტყორცნაში — 66,47 მ, ნ. სერგეევმა 10.000 მეტრზე რბენაში—30.55,0, ო. ხოლოდოკმა ათეიდში — 6.439 ქულა და ა. შჩერბინამ — 50 კილომეტრზე სიარულში — 4:26.25,0.

„ლელოს“ გრიბადა.

Შ. ამისულაშვილი

სარბიელი სამგორის ველზე

1

— გლდანელებო, რა უყავით
საჭიდაო ჩოხები,
კუნთმაგარნი,
მუხლმაგარნი
ასე რისთვის მოხვედით?!
დოლი მაინც წამოგელოთ —
გულის გამლაღებელი,
ჭიდაობას გავბედავდით
თქვენთან გარდაბნელები!..
— საჭიდაოდ
სად გვცალიან! —
გლდანელებმა შესძახეს
და სამგორის გაშლილ ყანებს
შეესივნენ ხელდახელ.
შვიდი დღე და
შვიდი ღამე
ღვარეს ოფლის ღვარები
საქართველოს
საზღვარს გაცდა
გრგვინვა მათი გვარების..!
— ჭიდაობა ვისაც გინდათ,
აი, ახლა გამოდით,
ვხედავ, სახე გაგბადრიათ,
არ ხართ უღიმღამონი!
ნუ ინატრებთ:
ზურნის ზუზუნს,
ჩოხებს, დოლის ბაგა-ბუგს,
ურიამულიც გააფიცხებს
მოჭიდავის მაგარ გულს! —
ჰკივის თვალებცეცხლოვანი
გლდანელების მოთავე
და ლოდინში ფალავნები
დევებივით შფოთავენ...

2

სანატრელი დადგა წამიც,
წრე დაარტყეს ვეება,
წრის თავში და
წრის ბოლოში
აიმართნენ კლდეებად.
წამოვიდა გარდაბნელი,
ადგილს მოსწყდა
გლდანელიც,
— აჰა, ხელი ჩამოართვეს! —
კისკისებენ ქალები.
— პეშვით მიწა აიტაცეს
მხურვალე და ფხვიერი.
ეს, რომელი დასცემს ნეტავ?! —
ეტყვის ჭაბუკს ხნიერი...
ერთი მოდის მხრებმოხრილი,
ერთიც მკლავებგაშლილი.
მხრებმოხრილი
მკლავებგაშლილს
მიიტყუებს ბავშვივით.
აგერ ზურგიც მიუბრუნა,
წამოიღო კისრულით,
დასცა მიწას, შუა წრეში
დატრიალდა მტვრის ბუღი...

3

დასცა, მაგრამ
გლდანელს მაინც
არ დაურტყამს ბეჭები,
წამოდგა და
როგორც მეხი,
მუხის გადამგლეჯელი,
ოდნავ მარჯვნივ
წელ-გადახრილს
დაეჯახა გულმკერდით.
სქელ მკლავებზე თოკებივით
დაეხლართა კუნთები.
დრო იხელთა... იღლიაში.
შეუვარდა ფალავანს;
გარეკაურს ეტანება,
იბრძვის დაუღალავად
ჭკრა მოგვერდი,
გარდაბნელი
თავდაყირა: დაეშვა.
მაგრამ ისიც გლდანელივით
გადაურჩა კაეშანს!..
მათი ეშხით, იმ საღამოს
სხვებმაც სცადეს საცდელი...
ჯანით სავსე
მრავალ ჭაბუკს
შემოაწყდა სარტყელი...
ბარი-ბარში, გამოვიდნენ
ბოლოს მაინც ყველანი;
კახელებმა შესვეს მათი
სადღეგრძელო ხელადით!



ფოთი

კომკავშირის 40 წლისთავს მიუძღვნეს ფოთელმა სპორტსმენებმა საშემოდგომო შეჯიბრება მძლეოსნობაში.

სტარტზე გამოვიდნენ სპორტსაზოგადოებათა და სკოლების საუკეთესო მძლეოსნები. შეჯიბრების მსვლელობის დროს, ცალკეული სპორტსმენების მიერ ნაჩვენები იქნა კარგი შედეგები.

სპრინტერულ მანძილებზე 100 და 200 მეტრზე გაიმარჯვა რ. ცხვიტარიამ, შესაბამისად აჩვენა 11,8 და 24,8.

400 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა გ. ბერაიამ — 54,4, მანვე პირველი ადგილი მოიპოვა სიგრძეზე ხტომაში 6,28. სამხტომში პირველი იყო გ. ბუკია — 12,84. სიმაღლეზე ხტომაში ბ. ბერაიას შედეგია 175 სმ. პირველ ადგილზე გამოსულმა ნ. ზაიჩენკომ ბირთვი კრა— 12,86 მ. ყველაზე შორს შუბი ტყორცნა ა. ლარიუშინმა—48,50.

ქალებს შორის შეჯიბრება გაიმართა 100 მეტრზე რბენაში, სიმაღლეზე ხტომასა და ხუთჭიდში. პროგრამის სამივე სახეობაში პირველი იყო გ. ბადულინა. ხუთჭიდში მის მიერ ნაჩვენები შედეგი 3.772 ქმის საწინდარია, რომ ნიჭიერი მძლეოსანი ახლო მომავალში პირველთანრიგოსანი გახდება.

გამარჯვებულ სპორტსმენებთან თბილისელი მწვრთნელი ნ. სკორნიაკოვი ნაყოფიერ მუშაობას იწყებს. მასობრივი იყო შეჯიბრება კროსში 500, 1.000, 2.000 და 8.000 მეტრზე, რომელშიც 250 სპორტსმენი მონაწილეობდა.

ა. ლომაია.

• • •

სურათებზე: ზემოთ — 100 და 200 მეტრზე რბენაში გამარჯვებული რ. ცხვიტარია ფინიშზე. ქვემოთ — ბირთვის კვრაში პირველ ადგილზე გამოსული ნ. ზაიჩენკო.

ოლიმპიური თამაშების პროგრამა

XVII ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაქვეყნა 1960 წლის თამაშების ზუსტი პროგრამა. აი იგი:

საზეიმო გახსნა: 25 აგვისტოს ოლიმპიურ სტადიონზე.

მძლეოსნობა: 31 აგვისტოს, 1, 2, 3, 5, 6, 7, 8 სექტემბერს (დილით და ნაშუადღევს) და 10 სექტემბერს — საღამოთი.

აკადემიური ნიჩბოსნობა: 30 და 31 აგვისტოს, 1 და 2 სექტემბერს (დილით და ნაშუადღევს) და 3 სექტემბერს — ნაშუადღევს.

კალათბურთი: 25, 27, 29 აგვისტოს (დილით, ნაშუადღევს და საღამოთი) 1, 2, 3, 7, 8 სექტემბერს (ნაშუადღევს და საღამოთი).

კრივი: 25 აგვისტოს (საღამოთი), 26, 27, 29, 30 და 31 აგვისტოს, 1, 2, 3 სექტემბერს (ნაშუადღევს და საღამოთი) 5 სექტემბერს (საღამოთი).

ველოსპორტი: 26 აგვისტოს (დილით და საღამოთი), 27, 29, 30 აგვისტოს — ნაშუადღევს და საღამოთი.

ცხენოსნობა: 5, 6, 7, 8, 9, 10, 11 სექტემბერს (დილით და ნაშუადღევს).

ფარიკაობა: 29, 30, 31 აგვისტოს, 1, 2, 3, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11 სექტემბერს (დილით, ნაშუადღევს და საღამოთი).

ფეხბურთი: 26, 27, 29, 30, 31 აგვისტოს, 1, 5 სექტემბერს (ნაშუადღევს და საღამოთი), 9 და 10 სექტემბერს (ნაშუადღევს).

ტანვარჯიში: 5, 6, 7, 9, 10 სექტემბერს (დილით და ნაშუადღევს).

ბალახის ჰოკეი: 26, 27, 29, 30, 31 აგვისტოს, 1, 2, 3, 5 სექტემბერს (დილით და ნაშუადღევს), 7 და 9 სექტემბერს (ნაშუადღევს).

ჭიდაობა: 26, 27, 29, 30, 31 აგვისტოს, 1, 2, 3, 5, 6 სექტემბერს (დილით და საღამოთი).

ცურვა და წყალში ხტომა: 26, 27, 29, 30 აგვისტოს (დილით, ნაშუადღევს და საღამოთი), 31 აგვისტოს, 1, 2, 3 სექტემბერს (დილით და საღამოთი).

თანამედროვე ხუთჭიდი: 26 აგვისტოს (დილით), 27 აგვისტოს (დილით, ნაშუადღევს, საღამოთი), 29 და 30 აგვისტოს (დილით), 31 აგვისტოს (ნაშუადღევს).

ძალოსნობა: 7, 8, 9, 10 სექტემბერს (ნაშუადღევს და საღამოთი).

წყალბურთი: 25 აგვისტოს (საღამოთი), 26, 27, 29 აგვისტოს (დილით და საღამოთი), 30 და 31 აგვისტოს, 1, 2 და 3 სექტემბერს (საღამოთი).

საიალქნო სპორტი: 29, 30 და 31 აგვისტოს 1, 5, 6 სექტემბერს (დილით).

საბაიდარო ნიჩბოსნობა და კანოე: 26 აგვისტოს (დილით და ნაშუადღევს), 27 და 29 აგვისტოს (ნაშუადღევს).

საზეიმო დახურვა: 11 სექტემბერს ოლიმპიურ სტადიონზე, ნაშუადღევს.



არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ჩვენს ქვეყანაში გამოდის ყოველთვიური ჟურნალი „სპორტივნაია ჟიზნ როსიი“, რომელმაც საბჭოთა სპორტსმენთა, ფიზკულტურელთა, მწვრთნელთა, აგრეთვე მკითხველთა ფართო ფენების სიყვარული დაიმსახურა.

ჟურნალში იბეჭდება ფიზკულტურულ-სპორტულ თემაზე დაწერილი მოთხრობები, ლექსები, ფელეტონები, მასალები საუკეთესო ფიზკულტურული კოლექტივების გამოცდილების შესახებ, სამეცნიერო-თეორიული, მეთოდური სტატიები. ჟურნალში დიდი ადგილი ეთმობა საზღვარგარეთის სპორტს.

ამჟამად მიმდინარეობს ხელმოწერა ჟურნალზე „სპორტივნაია ჟიზნ როსიი“. კარგი იქნება, თუ ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები, მწვრთნელები, სპორტსმენები გამოიწერენ ზემოდასახელებულ ჟურნალს. ისინი გაეცნობიან ბევრ საინტერესო მასალას, რომელიც მათ დაეხმარება ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის უკეთ წარმართვაში.

წაიკითხეთ ეს წიგნი

მონოგრაფია სპორტსმენ-მომღერალზე

ვინ არ მოხიბლულა ცნობილი ქართველი მომღერლის ლადო კავსაძის სიმღერით. 45 წელზე მეტი მოღვაწეობდა იგი მშობლიური ხელოვნების ასპარეზზე. ლ. კავსაძე გამოვიდა 61 სახელწოდების ოპერეტაში, მღეროდა ესტრადებზე, შეასრულა ათობით პარტია ოპერებში, მონაწილეობდა კინოფილმებში და ბოლოს იყო თბილისის ცირკის დირექტორი.

მაგრამ იყო დრო, როცა ლადო კავსაძეს თბილისში იცნობდნენ როგორც მხოლოდ ველოსიპედისტს. 1906-07 წლებში ვაჟთა მეორე გიმნაზიის მოსწავლეს ველოსპორტში ავარჯიშებდნენ მაშინდელ წამყვან ველოსიპედისტთან ერთად და ლადომ მალე ამერკავკასიის ჩემპიონის სახელიც კი მოიპოვა. შემდეგ 3 ვერსზე რბოლაში შეხვდა რუსეთიდან ჩამოსულ გამოჩენილ ველოსიპედისტებს სლავოროსოვს, სედოვსა და პირველი იყო ფინიშთან. გაუმარჯვია ჩვენს ლადოს განთქმულ მრბოლელ სერგეი უტოჩკინთან შეხვედრაშიც.

1908 წელს პეტერბურგში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება, ველორბოლაში, სადაც პირველი ადგილი დაიკავა რუსეთის გუნდმა, რომლის ერთ-ერთი მონაწილე — ლადო კავსაძე მეოთხე ადგილზე გამოვიდა, ხოლო შეჯიბრების შემდეგ მოწყობილ სხეულის სილამაზის კონკურსში, მან ოქროს მედალი დაიმსახურა.

ლ. კავსაძე ქართულ და კლასიკურ ჭიდაობასაც მისდევდა.

მოსკოვში სწავლისათვის ლადოს დიდი ხარჯი უნდა გაეწია, ფული კი არა ჰქონდა. გამოსავალი მალე გამოიძებნა. ლადო „გიმნაზიელის“ სახელით კლასიკური ჭიდაობის ჩემპიონატში გამოდიოდა ცნობილ მოჭიდავეებთან ერთად და დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა მაყურებლებში. „კვირაში სამჯერ თეატრ-ბუფში ლირიკულ პარტიებს ასრულებდა, სამ დღეს კი ცირკის არენაზე გოლიათებთან ასპარეზობდა“.

ამ და კიდევ მრავალ სხვა ამბებს საინტერესოდ მოგვითხრობენ „ხელოვნების“ მიერ ახლახან გამოცემული მონოგრაფიის ავტორები ა. მონიავა და ე. ყუფარაძე წიგნში „ლადო კავსაძე“. მისასალმებელია, რომ ავტორებმა ლადო-სპორტსმენი ლადო-ხელოვანისაგან არ გამოაცალკევეს და ორგანულ კავშირში მოგვცეს, რადგან სპორტი მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის განუყრელი ნაწილია.

წიგნში მოთავსებულია იშვიათი ფოტოსურათები, რომლებიც ლადოს წარმოგვიდგენენ როგორც ველოსიპედისტსა და მოჭიდავეს. „საზრიანი ჭიდაობით, — მოგვითხრობენ ავტორები, — მან არაერთი გამარჯვება მოიპოვა ისეთ განთქმულ ფალავნებთან, როგორიც იყვნენ ილიკო რუსიშვილი, იოსებ ცერაძე, მიხა ქურხული, გიორგი დოთაშვილი (კირბალელი) და სხვები“. ყველაზე უფრო საინტერესო აღმოჩნდა ლადოს შეხვედრა ვანო ქიზიყელთან (ვანო აბულაძე), რომელსაც თბილისელმა პირველი დამარცხება აგემა.

შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო ეპიზოდი „ობრაგიმ და გოდერძისათვის“ კახეთში ერთი კინოკადრის გადაღების შესახებ. საქმე იმაშია, რომ ლადოს დიდი ხანია აღარ ეჭიდავა, ფილმის მიხედვით კი მას აუცილებლად უნდა წაექცია პარტნიორი. ამ უკანასკნელმა დაწოლაზე უარი განაცხადა და მხოლოდ თანაბარ ჭიდაობაზე დათანხმდა. კადრის ბედი ბეწვზე ეკიდა, მაგრამ „...დაიწყო ჭიდაობა. კინოაპარატის წინ უჩვეულო სანახაობა გადაიშალა: წინასწარ მოფიქრებული, დაგეგმილი მოძრაობის ნაცვლად, შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა. ლადო საზრიანად იგერიებდა მოწინააღმდეგის შეტევებს და თვითონაც უტევდა. მას არც აქ უღალატა მრავალ ასპარეზობაში გამოცდილმა შუა სარმამ და მოწინააღმდეგე მინდორზე გაშხლართა“.

წიგნის წაკითხვა სარგებლობას მოუტანს ველოსპორტისა და საჭიდაო ხალიჩის მიმდევრებს. შეუპოვრობა მიზნის განხორციელებისათვის საბრძოლველად! — აი, რას გვასწავლის სცენის შესანიშნავი ოსტატისა და სპორტსმენის ლადო კავსაძის მაგალითი.

ი. ივანიშვილი

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის 3-89-62, მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.